**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# აქცია

აქცია (ფრანგ. action

არსებობს ა-ების მრავალნაირი კლასიფიკაცია. მათი განკარგვის ხასიათისგან გამომდინარე, ყველაზე გავრცელებულია შეძენილი (ინდივიდ. ინვესტორების), გამოშვებული (კომპანია ემიტენტის), სახელობითი და უსახელო ა-ები. სააქციო საზ-ბის მართვაში მონაწილეობისა და შემოსავლის მიხედვით განასხვავებენ პრივილეგიურ და ჩვეულებრივ ა-ებს.

ა. ფიზიკურად არსებობს დაცული ფასიანი ქაღალდისა და საბუხჰალტრო წიგნში ჩანაწერის სახით, აგრეთვე როგორც სპეც, სერტიფიკატების, ასევე ელექტრონული ჩანაწერების ფორმით და ა. შ. საქართველოში უპირატესობით სარგებლობს დაცული ფასიანი ქაღალდების სახით არსებული ა-ები.

2020 წლის დასაწყისში საქართვ. საფონდო ბირჟაზე კოტირებული აქციების ემიტენტი კომპანიის საბაზრო ღირებულებათა ჯამური რაოდენობა (კაპიტალიზაცია) შეადგენდა 19,5 მლრდ. ლარს. აქციების ძირითადი ემიტენტები იყვნენ სააქციო საზ-ბები: „ლიბერთი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „თელასი“, „ბამბის ნართი“ და სხვ.

***დ. იაკობიძე***

***მ. თოქმაზიშვილი***